განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამა 2021: განაცხადების წარდგენა დაიწყო

თუ ფლობთ ინფორმაციას საფრთხის ქვეშ მყოფი განსაკუთრებული მნიშვნელობის მემკვიდერეობის ნიმუშებზე (მაგალითად ისტორიული ძეგლი ან კომპლექსი, არქეოლოგიური საიტი, სამლოცველო, ინდუსტრიული ცენტრი, ისტორიული პარკი, მუზეუმი ან თუნდაც სხვა მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში), მაშინ წარადგინეთ ის განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამა 2021-ში!
ნახეთ ვიდეო

განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამა დაფუძნდა 2013 წელს როგორც სამოქალაქო საზოგადოებრივი კამპანია, რომლის მიზანია საფრთხის ქვეშ მყოფი ევროპული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენა. პროგრამა ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, ამზადებს დამოუკიდებელ შეფასებებს, წარადგენს რეკომენდაციებს მოქმედებისთვის და ეძებს რეალურ მხარდაჭერას შერჩეული ძეგლების გადასარჩენად. იგი პირდაპირ არ უზრუნველჰყოფს დაფინანსებას, თუმცა სიაში მოხვედრა ხშირად ხელს უწყობს საზოგადოებრივი და კერძო სექტორის მობილიზებას დაფინანსების მოსაზიდად.

განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამა იმართება ევროპა ნოსტრას მიერ, ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით და როგორც, სამოქალაქო საზოგადოების ევროპული ხმა მიმართულია კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის გადასარჩენად. პროგრამა ასევე მხარდაჭერილია ევროკავშირის შემოქმედებითი ევროპის პროგრამის მიერ.

2021 წელს პირველად პროგრამის ისტორიაში, განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის სიიდან ნომინანტებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტის მემკვიდრეობის გრანტი, 10 000 ევროს ოდენობით. ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტის მემკვიდრეობის გრანტი გამარჯვებულ ძეგლებს დაეხმარება გადასარჩენად მიმართული, შეთანხმებული აქტივობების განსახორციელებლად.

ძეგლის სიაში ნომინირება შეგიძლიათ განახორციელოთ ევროპა ნოსტრას წარმომადგენელი ორგანიზაციის დახმარებით თქვენს ქვეყანაში, ან პირდაპირ პანევროპულ ქსელში ინდივიდუალური ან ორგანიზაციული წევრობით. ჯილდოზე ნომინაციების წარდგენა ასევე შეუძლიათ ევროპული მემკვიდრეობის ალიანსის წევრებს.

გადავარჩინოთ ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ერთად!

წაიკითხეთ სრულად ნომინაციის შესახებ და შეავსეთ განაცხადის ფორმა
ელ.ფოსტა: sz@europanostra.org.
საკონტაქტო პირი: სარა ზანინი, განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამის კოორდინატორი
განაცხადის შევსების ბოლო ვადაა 2020 წლის 7 სექტემბერი!
მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: http://7mostendangered.eu/